№ 55. 11 მარტი, კვირა. 1866—1884 11 მარტი, კვირა. № 55.

თბილისი

# დროება

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რ[illegible] ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ[რ]უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## როგორ ვუშველოთ ხალხში ჯანმთელობის აღდგენას?

თბილისი, 11 მარტს.

ამ ბოლოს დროს მკითხველები შენიშნავდენ, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში გავრცელებული მრავალგვარი ავადმყოფობა, რომელიც, უეჭველია, იმსხვერპლებდა მრავალს ადამიანს—დიდსა და პატარას. ჩვენი კორესპონდენტები სულ იმასა სჩივიან, რომ ესა და ეს სნეულება სთიბავს მცხოვრებლებსა და შემწეობა არსაიდამ არ არისო. ესრეთს სამწუხარო ამბებს გვწერენ ისეთი ადგილებიდგან, სადაც მოიპოვება ორიოდე კაცი, რომელთაც საშუალება აქვთ მიმართონ ბეჭდვის სიტყვას და იმის შემწეობით საქვეყნოდ გამოაცხადონ ადგილობრივი გასაჭირი და თავგადასავალი. მაგრამ ამ გვარი კუთხეები არ შეადგენენ უმეტესს ნაწილს ჩვენის სამშობლოისას: მრავალი ისეთი ადგილებიც მოიპოვებიან, საიდამაც არავითარი ამბავი არ ისმის; ამ ადგილების შესახებ ჩვენ თითქმის არა ვიცით-რა; არ ვიცით, თუ რა გაჭირვება ესტუმრება, რა სენი აწუხებს მათს მცხოვრებლებს...

რასაკვირველია, იმისთანა ადამიანი, რომელიც ვერ შეიგნებს სხვის ავსა და კარგსა, თუ ყურში ნალარით არ ჩასძახე, ამისთანა ადამიანი, ვამბობთ ჩვენ, ჰფიქრობს, რომ ამ გვარი გარეგანი მშვიდობით და ბედნიერებით გარემოცული ადგილი მართლადაც ბედნიერი და დაფარულია ყოველის გაჭირვებისაგანაო; მაგრამ იმათთვის კი, ვინც დაახლოვებით იცნობს ხალხის ცხოვრებასა და მდგომარეობასა, ცხადი და ჭეშმარიტია ის გარემოება, რომ ხალხს ხან გოლვა და შიმშილი ესტუმრება, ხან რომელიმე მოარული ავადმყოფობა და თავის ბეგარას იღებს ხალხისაგან, ხან კიდევ, ვინ იცის, რა გვარი განსაცდელი მიადგება უმეცარს სოფლის ხალხს.

ამას კიდევ აიტანს კაცი; ამ გვარი გასაჭირი ხალხს დაადგება დროგამოშვებით, რამოდენიმე ხნობით მაინც აძლევს ხალხს მოსვენებას და შეღავათს, მაგრამ კიდევ უფრო უალრეს უბედურებად უნდა ჩაითვალოს ისეთი სენი, რომელიც თითქმის მუდმივი სტუმარია რომელიმე ადგილისა. ავიღოთ მაგალითი: საზოგადოდ სოფლებში, მეტადრე ისეთებში, რომელთაც განსაკუთრებითი მდგომარეობა, ან ჰავა აქვთ, შევხვდებით მუდმივს სნეულებას, რომელსაც მცხოვრებლები თითქო შესჩვევიან და რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო ძირს უთხრის მათს ჯანმთელობას. აბა, დავაკვირდეთ რომელიმე ციებიანს ადგილს, რომლის მცხოვრებლებს ტანში არას დროს არ გამოელევათ ციებ-ცხელება; დააკვირდით ამ საცოდავების სახის გამომეტყველებას, ფერს, ფიზიკურს ძალ-ღონეს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ გვარ ადგილებში მამიდგან შვილზე გადადის ავადმყოფობა; დაიარეთ სოფლები, იკითხეთ აქა-იქ, ყური დაუგდეთ ამ სოფლებში მცხოვრებლებსა და დარწმუნდებით, რომ სოფლებში მუდმივ მოდებულნი არიან, მაგ., ქალის ავადმყოფობანი და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, ყოველივე გაჭირვება ხალხისა, მისი ავადმყოფობა არის შედეგი ერთობ რთული მიზეზებისა; აქ მოქმედობენ, გარდა განსაკუთრებითი ადგილობრივი მიზეზებისა, ჰავისა, ადგილის მდგომარეობისა, ეკონომიური, სანიტარული და ჰიგიენური მიზეზები; ამათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა შეეფერებოდეს ამ რთულ ხასიათს და ამიტომაც მათს შესახებ არას ვიტყვით. ისეთს მიზეზების შესახებ კი, როგორნიც არიან ადგილობრივი ჰავის განსაკუთრებითი მავნე ხასიათი, ადგილის მდებარეობა, უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მეცნიერება, კაცის ხელოვნება ამ ჟამად ისეთს წერტილზე სდგას, რომ მათ შეუძლიანთ, თუ მოსპობა არა—შემცირება მაინც ამ გვარად წარმომდგარი სენის ადგილობრივი პირობებისა; ამის წინააღმდეგ საბრძოლველად მეცნიერებასა აქვს საერთო საშუალება და, თუ კაცმა მოინდომა ამ უკანასკნელით სარგებლობა, უეჭველია, რომ თავიდგან აიცილებს მცირეოდენს ნაწილს მაინც თვისის გაჭირვებისა და მწუხარებისას.

ეხლა ვიკითხოთ: ვინა ჰყავს ხალხს დამხმარედ რომელიმე გაჭირვების, მაგალითად, ავადმყოფობის გავრცელების დროს: ვის მიჰმართავს ხოლმე ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი, და ვინ და რა საშუალებით მოუმართავს მას ხელს? ხალხი ავადმყოფობის დროს უპირველესად და აუცილებლად მიჰმართავს სოფლელ მკითხავებს, ვითომც «ექიმებს», რომელნიც სნეულებს ექიმობენ შელოცვით და რაღაც გალესილი წამლებით. რა თქმა უნდა, რომ ესეთი ექიმები თითქმის ვერავითარს სამსახურს ვერ გაუწევენ ხალხს... მაგრამ ხალხი მაინც და მაინც, სხვა საშუალებას მოკლებული, სარგებლობს შინაური ექიმების შემწეობით და ანდობს მათ თავის ბედსა.

შეიძლება, ჩვენ გვიპასუხონ, რომ ყოველს მაზრაში არის ექიმი, რომლის მიწვევა შესაძლებელიაო; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ექიმები მხოლოდ მაშინ გაჩნდებიან სოფელში, როცა უფროსის «მიწერილობა» მიუვათ ხოლმე რომელიმე მოარული ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად, ან და, როცა სადმე მოჰკლენ ვისმე, ან თავს ჩამოიღრჩობს ვინმე. ამ შემთხვევებშიაც ექიმები დაჰყოფენ სოფლებში მხოლოდ რამოდენსამე დღეს, ხან-

---

«დროების» ფელეტონი, 11 მარტი.

## წერილი თელაველი ვაჭრის კოლოზასი თავის სიძესთან*).

საიქიო, 25 მარტი.

საყვარელო სიძე დარჩო,
  შაგირდო ჩემო ერთგულო!
რასაც გწერამ, შაასრულე,
  პრიკაშჩიკო ღირსეულო!
შენ კარგად უნდა გახსოვდეს
  ჩემი ჰუნარი, ჰაზრები,
ვინძლო, რომ ხელში მოიგდო
  მთელი თელავის ბაზრები.
უშაროდ და უსარგებლოდ
  ნურავის მოურიგდები,
თორემ, იცოდე, სამ დღეზე
  უკანვე დაგიბრუნდები.
ვისგანაც ივაჭრო რამე—
  მოუჭერ გასწორებაში,
ახატლელს ქრას ნუ მისცემ—
  სხვებიც ატყუე სასწორში.
რომელიც რომ დამალულად
  ვყიდეთ დამპალ-ჩითეული,
ეხლაც თავს ნუ დაანებებ,
  თუ გინდა მოიგო ფული.
წყალ-კურთხევას და აღდგომას
  ჰა! დუქანი არ დაკეტო,
თუ ჯარიმას დაგემუქრონ,
  ვინძლო, შიგნიდამ ჩაკეტო.
ერთი ბიჭი მუდამ გყავდეს—
  აიაროს, ჩაიაროს,
ყველას ავალი შეიტყოს,
  ყველას კარი მოიაროს.
ეცადე, რომ არ მოეიდეს
  სასწორზედა არაფერი;
თელავ გარეთ ჩაუსაფრდი,
  იქ იყიდე ყველაფერი:
ერბო, ყველი, ბრინჯი, ზეთი,
  ზოკო, ლანძილი და ქერი,
არაფერი შამოუშო,
  ყველას შენ გაჰკარი ცე[მ]ი.
თუ იაფობა შეიქნა,—
  ვაი, დედი შენის ბრალი!
ხომ ვერაფერს დამიმალავ
  მანდეთა მაქვს ცალი თვალი.

***

ბალმაური სმატრიტელი
  არავინ გამოგაცალოთ,
ჩვენი კარგი მუშტარია,
  ფეშქაშები არ მოაკლოთ.
მე რომ თათარი მწამლობდა,
  ფულს ნუ მისცემ და გააგდე,
მეორე თვალიც ამტკივდა,
  ლამის, იმითაც დავბრმავდე.
ფუჩინაანთ უსწიფერას
  ზვარი რომ ახატელშია,
ის ზაკლადნოვათ გვიჭირავს,
  პირობა მართას ხელშია:
სარგებელი არ მოსთხოვო,
  შინაურად არ მორიგდე,
ერთ დღეს თუ ვადა გადასცდეს,
  მაშინვე ხელში მოიგდე;
სოსიკოს ლისტი გვიჭირავს,
  მისგნით, აბა, რა გამოვა!
შენც ჩემსავით მოიქეცი,
  როცა სოფლიდგან ჩამოვა.
ბაუგორდი მელასავით,
  სარგებელი გამოართვი;
ბათილამას კი ნუ მისცემ,
  მცირე რამე შინ მიართვი.
სარგებელი შეუკეცე,
  შეუყენე დიდი ჯამი,
ზოგჯერ კვიტანცია მიე,
  რომ გახადო ხათრი-ჯამი.
თავადისა მეშინიან,
  ხანჯალზე უჭირავს თვალი,
პოლიტიკით მოექეცი,
  ეგებ დასტყუო ის ვალი.
ბიგლოს ბარათი გვიჭირავს,
  ვინძლო, კარგად მოუჭირო,
ერთი-ორად გამაართვი,
  ბარათი არ დაუბრუნო.
შაქროს დუქანი, ეცადე,
  რომ პატრონმა ვერ დაიხსნას,
ის თევზის დუქნად მინდოდა,
  აგება ეხლა გაიხსნას.
აქ თევზები დამიდევია,
  გამოვგზავნი გაზაფხულზედ,
თანხა ჩემი, ჯანი შენი,
  ბილდი კი მართას სახელზედ.
ეხლა ცუდი ამინდია,
  ამიტომ აქვე დავაწყე,
გამოიდარებს მიიღებ,
  იქნება, მეც თან წამოვყვე.
ვიჩინისთვის რომ მინდოდა
  მელქო მარქაროვის ქვევრი,
ვინძლო ის გამოიტანო,
  რადგან ჩადის ძლიერ ბევრი.
თუ ჩოფურას თევზი ჰქონდეს,
  შენ მოუკელი შაური;
თუ არავის არა ჰქონდეს,
  ასწიე ათი შაური.

*) ეს ლექსი რომ ანტონ კათალიკოზის დროს ყოფილიყო დაწერილი, მაშინვე მდაბიო სიტყვიერების კატეგორიაში მოჰყვებოდა და დასტამბვას ვერას დროს ვერ ეღირსებოდა; მაგრამ ეხლა სხვა დრო შეგვექმნა და მდაბიო სიტყვიერების ნაწარმოებსაც გაზეთმა ხანდისხან ადგილი უნდა დაუთმოს ხოლმე. რა გაეწყობა: ყოველ საუკუნეს თავისი დაღი აზის და შესაფერს ხარკსა თხოულობს.

საიქიოელი პოლოსას ლექსი ცოტა ლექსთა. წყობილებასთან მწყრალად გახლავთ, მაგრამ მაინც შესაფერი ხარკია ჩვენის საუკუნისათვის. რა თქმა უნდა, რომ არც ერთს ამ ლექსში დასახელებულ პირს ნამდვილი სახელი არა ჰქვიან და თვით ავტორი პოლოსა ფანტაზიის ნაყოფნი არიან.

რედ.

დისხან სოფლის ორ-ოლობებს არც კი გასცილდებიან და მიეშურებიან თავიანთ საბინადრო ქალაქისკენ, სადაც მათ სხვა «საქმეები» აქვთ. მიწვევა კი ექიმებისა სოფლელ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ქალაქებიდგან სწორედ შეუძლებელია.

მაშ რა საშუალება დარჩენია ჩვენს ხალხს იმისათვის, რომ რიგიანად მოაწყოს საექიმო ნაწილი და მით შეამციროს სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გავლენა თავის ჯანმრთელობაზე? რუსეთში, მაგალითად, ამ გვარს შემთხვევაში დიდს სამსახურს უწევს როგორც თვით ხალხს, აგრეთვე სახელმწიფოს ისეთი ჩინებული დაწესებულება, როგორიც ერობაა, რომელიც, სხვათა შორის, აარსებს საავადმყოფოებს, აფთიექებს, დაიქირავებს ხოლმე ექიმებს, ბებიებს, ფერშლებს, იკვლევს ყოველის მხრით ადგილობრივს პირობებსა და სხვ. და სხვ. ჩვენ კი იმ გვარს დაწესებულებას, როგორიც ერობაა, მოკლებული ვართ; მაშასადამე, არ შეგვიძლიან საზოგადო საქმეში ისეთი მოთავეობა და ხელმძღვანელობა გამოვიჩინოთ, რამდენიც გვმართებს და რამდენიც საჭირო ჩვენივე კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის. მაგრამ აქვე უნდა დავურთოთ, რომ, თუ ჩვენ თვითონვე არ გამოვიჩინეთ თვით-მომქმედი ძალა, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ სხვა არავინ არ ეცდება იგინი ჩვენში გამოიწვიოს. მაშასადამე, ცხადია, რომ ჩვენს თავზე ჩვენვე უნდა ვიფიქროთ და უნდა ვიზრუნოთ რომელიმე გაჭირვება თავიდგან ავიცილოთ.

იმ გარემოების ასაცილებლად, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვლაპარაკობდით, ე. ი. უექიმობისა, ჩვენ დაგვრჩენია ერთი საშუალება. ჩვენს სოფლებს მეტადრე მდიდრებსა, ცალცალკე და საერთოდ შეუძლიანთ დაიქირაონ ექიმი, ბებია, ფერშალი; ეს უკანასკნელნი თუ სოფლებში იცხოვრებენ, ყოველთვის შეუძლიანთ შეძლებისა-და-გვარად შემწეობა აღმოუჩინონ ხალხს. იმათ შეუძლიანთ გაავრცელონ ხალხში მართალი აზრები შესახებ სანიტარული და ჰიგიენური პირობებისა, შეუძლიანთ რომელიმე კეთილი აზრი თან ჩააგონონ და თან აასრულებინონ სოფლელებსა; ისინი შეისწავლიან დაწვრილებით ადგილობრივს პირობებს და მით უფრო მარჯვე და ნაყოფიერს შემწეობას აღმოუჩენენ ხალხსა. უეჭველია, რომ ქვეყნის ავი და კარგი მაშინ უფრო გამოაშკარავდება, როდესაც განათლებული ნაწილი საზოგადოებისა ხალხში იტრიალებს და მასთან ერთად იცხოვრებს. საკუთარი ექიმი, ანუ ფერშალი ყოველთვის უფრო გულმოდგინედ და სინიდისიერად მოეკიდება საქმეს, ვიდრე სამაზრო ექიმი, რომელიც კუდიან ვარსკვლავსავით გამოჩნდება ხოლმე სოფლის მიყრუებულ ჰორიზონტზე.

მართალია, მთავრობაცა ჰფიქრობს ამავე საგნის შესახებ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საზოგადო და საქვეყნო საქმეში საჭიროა საკუთარი მოთავეობა, მეტადრე, როდესაც მთავრობას სხვა თავისი «საქმეებიც» ბევრი აქვს.

შეიძლება გვიპასუხოს ვინმე, რომ ამ გვარს საქმეს ეჭირვება ნივთიერი საშუალება, რომლითაც ჩვენ მდიდარი არა ვართო. მართალია, ამ საქმეს, როგორც ყოველს სხვა გვარსაც უპირველესად ფული ეჭირვება, მაგრამ ესეც მოიპოვება, თუ უთავობას და დაუდევრობას ავცილდებით. საზოგადოდ, ჩვენ სიმდიდრედ მიგვაჩნია მხოლოდ ნაღდი ფული და ჯანმრთელობას კი სიმდიდრედ არა ვთვლით, მაგრამ განა დიდს ნივთიერს ზარალს არ აძლევს კაცს სნეულება და სიკვდილი? განა ჯანმრთელობა არ არის სახსარი ფულისა და სიმდიდრის მოპოვებისათვის? თუ ვიანგარიშებთ იმ ზარალს, რასაც ხალხს ავადმყოფობა აძლევს, დავრწმუნდებით, რომ ექიმის და ფერშლის შენახვა იმას ამ ზარალზედ უფრო ნაკლები დაუჯდება.

## შინაური ქრონიკა

≈ მკვლელობას თბილისმა ძალიან შეაჩვია ყური. თითქმის დღე არ გადის, რომ ამისთანა საზარელი ამბავი ერთი მაინც არ გაიგონოთ. რვა მარტს ჩვენ გავიგონეთ, რომ ორი მკვლელობა მომხდარა: ერთი დილის 9 საათზე, მეორეც საღამოს ათ საათზე. სწორედ საკვირველია ასეთი მოდება ავ-კაცობისა და ბოროტ-მოქმედებისა. ეს ორი მკვლელობა სწორედ გაუგებარია, მიზეზ გამოურკვეველია. დილით მოხდა ამ ნაირი მკვლელობა: სიონის სობოროსთან ახლო, ქულქჩების ქუჩაზე, არის ვიწრო გასავალი, სადაც იმყოფება ურიების სინაგოგა. ამ სინაგოგას ჰყარაულობდა ერთი ღარიბი ახალგაზდა ურია, რომელიც იქვე სცხოვრობდა თავის ცოლ-შვილით. როცა ურია გასულიყო სავაჭროდ, მის ცოლთან შემოვარდა მეზობლად მცხოვრებ ურიას, 22 წლის კინტუა ბიჭს, და დაეცა ფერდში პირველი ურიის ცოლისთვის გძელი დანა და ქალს მაშინვე სული დალია.

მეორე მკვლელობა ჩაიდინა «გოროდოვოიმ», რომელიც ღამე დადიოდა ოათრის მეიდნის ზემოთ, ვორონცოვის ქუჩაზე. თურმე «გოროდოვოიმა» შენიშნა თხრილში ვიღაც კაცი და ჰკითხა — ვინა ხარო? ამის პასუხად ის კაცი ემგერა თურმე მას ყელში. გოროდოვოიმ იხსნა თავი მისი ხელიდამ, ამოიძრო რევოლვერი და ესროლა უკანიდამ კეფაში. კაცი ცოცხალ-მკვდარი, გრძნობა-მიხდილი წაიყვანეს საქალაქო საავადმყოფოში, სადაც ექიმებს ეთქვათ, რომ მისი მორჩენა საეჭვოა, დილამდის დალევს სულსაო.

ვეცდებით, დაწვრილებით შევატყობინოთ მკითხველებს ამ ორი საზარელი საქმის ნამდვილი მიზეზები.

≈ კუკიაში, ქალაქ-გარედ, მართმადიდებელთა სასაფლაოს ახლო, წარსულ წელს, საქალაქო მიწაზე რამდენიმე ღარიბმა ხალხმა აიშენა თავისთვის ქოხები და დასახლდა შიგ თავის ოჯახობით. ასეთი შენობები ორმოცამდის იქნება. მაგრამ, რადგან აშენებლებს არა ჰქონიათ არც პლანები და არც ქალაქის გამგეობის ნება-რთვა, ამიტომ პოლიციას შეუჩერებია შენობების გაგრძელება და დათავება, რითაც დიდი ზარალი ეძლევათ უიმისოდაც ღარიბს და საწყალს ხალხს, რომელიც თითქმის სულ ხელოსნებისაგან შესდგება. ამ ხელოსნებს იმიტომ გაუბედნიათ აშენება საქალაქო ადგილზე, რომ სხვა დროსაც ამ ნაირად იჭერდენ ადგილებს და მერე, როცა გამგეობა აცხადებდა ფასებს, მაშინ შეჰქონდათ ნასყიდობის ფულები. ეხლაც ასე უნდოდათ სყიდვა. მაგრამ, რადგან თბილისში ხშირად მომხდარა ქალაქის მიწების უსასყიდლოდ და უსინიდისოდ დაჩემება, ვადის გასვლის გამო, ამიტომ გამგეობას ეფიქრება, ეხლაც არ წაგვართვან ადგილებიო, და ან იქნება ის ადგილები თითონ ქალაქს მოუნდეს თავის საჭიროებისათვის და მათი გაყიდვა ძნელიაო.

---

თუ სოსიას დუქანშია
 თევზი კიდევ იყიდება,
ეცადე, რომ ხლინკი უგდო,
 რადგან აგრე გვეჯიბრება;
წელს ჩვენის მეტს ხიზილალა,
 მგონი, არავის ექნება,
რვა აბაზი დააფასე,
 აქაც აგრე იყიდება.

* * *

ბალდასარ თათუზოვისა,
 შენ იცი, რომ მჭირდა ჯავრი,
რომ გარდუხადო, მომწერე,
 თუკი შეგხვდა კაი მგზავრი.
რიყის პირას სასახლეზე
 ვარდოსთანა მქონდა დავა,
ეცადე, გადაუხადო,
 მაგის დარდმა გამათავა.
პრიკაშჩიკის მოწმობისთვის
 ძლიერ რომ შეწუხებულხარ,
შენი თავი მოიგონე,
 რამდენჯერ დამიმალიხარ.
ანანიას ქვრივ-ობლებსა
 არამც არ გაუშრო თვალი,
თუ ერთი რამე შევიტყე,
 მაშინ ვაი შენი ბრალი.
ანანიამ აქ დამიწყო
 თავისი დავიდარაბა,
ზედ კენჩხაზე დამათხლიშა
 ეშმაკის დუქნის დარაბა.
ეშმაკების უსტაბაშთან
 საჩივარი შეიტანა,
სამოთხეში წილი მქონდა,
 ჯოჯოხეთში გამიტანა.
აქ სვიმონ ბახუტაშვილი
 ადვაკატად დავიჭირე,
კაცმა მკითხოს, რა მინდოდა,
 საქმე რაზე გავიჭირე!
სოლომანას ფული ვჭამე,
 იმას ეს აქ მედავება;
ანთებულ კუპრში ჩამიშვეს,
 ვაიმე, ცეცხლი მედება!
ამისი ქვრივ-ობლებისა
 მე რომ აპეკუნათ ვიყავ,
რაც რომ მაშინ ჩავიდინე,
 შენც ხომ აკი ჩემთან იყავ!
აბა, როგორმე ის საქმე
 მალე გადაეც არხივში,
თორემ აქ დაიბარებენ,
 კიდევ გავებმი მახეში.
გრიგოლ-ალა არ მამეშო,
 დავითხოვე ჩემი მღვდელი,
მასუკან სულ ვიავადე,
 მხლა უარესს მოველი.

* * *

დარჩო! ძლიერ გემდურები,
 რომ ქელეხი გამიკეთეთ,
მე ერთ ქვაბსაც არა ვღგამდი,
 თქვენ ოთხ-კუთხივ შეუკეთეთ.
კუბოც როგორღაც მეჩვენა
 არშინზედაც იყო მეტი,
ალბად, ვიღაცამ კულიას
 ჯიბრით მისცა გრძელი კეტი.
ვოზდებიც წვრილი დაეკრა,
 სამ დღეზე ძირი გავარდა,
ისეთი ზაპა გამცვივდა,
 კინალამ კუბი ჩამვარდა.
ერთი მითხარ, რად გინდოდათ
 შთვალავი ტერტერები,
თუ შემხვდებიან, გავპენტამ,
 ყველას ძლიერ ვემტერები.
ვინ აზერია, რა უნდა
 ბიბილაურს ჩემ სახლშია,
კარავში რომ გამოსჭიმეთ
 სველი ხელადით ხელშია?
ჭილყვავსავით, რომ მოგროვდა
 იმოდენა ერი, მღვდელი,
ერთი მაინც არ იკითხეს, —
 სადა ჰყავნდათ მასპინძელი?
სურფ-სილანში რად უნდოდა
 ის ფუთიანი შაქარი,
ან წირვაზე წასვენება
 და იმოდენა ამქარი?
აქ რომ მოხვალთ, პასუხს გამცემთ, —
 ვის დოვლათზედ პაშპაშებდით,
ვილაც ღარიბ შაგირდებს რომ
 ათ თუმნობით ურიგებდით!

* * *

რაც იყო, იყო, — ეს მითხარ —
 დღიური დახლი რა დგება?
წვრილი ფული შინ გაგზავნე,
 იქ სახარჯოდ მოუნდება.
უწინ ჩემს გაგზავნილებსა
 მართა რომ ისროდა კარში,
კიდევ ისე ბედოვლათობს,
 თუ ჭკვა მოუვიდა თავში?
მომიკითხე გრიგოლ-ალა,
 პატივცემით, საცა შეგხვდეს,
ძლიერა მსურს მაგის ნახვა,
 უთხარ მალე წამობძანდეს.
მომიკითხე მიხეილი,
 მგ ჩემი სული და გული,
არ მოაკლო ტარალანა,
 ზუთხი, ლოქო, ორაგული.
ჰო, არშაკაც მომიკითხე,
 მახსოვს მაგის იხტილათი,
მაგის ნაყიდ არტალაში
 ხშირად მინახავს ლაზათი.
შენი ძმა კოჭლი არტემა,
 ჩვენი დუქნის დახლიდარი,
მომიკითხე ქურდ-ბაცაცა
 და მომწერე, როგორ არი.
მშვიდობით, სიძე, ნახვამდის,
 იქნება, რომ მალე გნახო...
როდის იქნება მოვესწრო,
 შენი სახე დავინახო!

შენი სიმამრი პოლოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეხლა, როდესაც საწყალს ხალხს უკანასკნელი თავისი ლუკმა გამოუღია პირიდამ და შენობაზე მოუხმარებია, გამგეობა არ იზამს, რომ დაღუპოს ამოდენა საცოდავი ხელოსანი ხალხი თავის ოჯახობით. ამბობენ, რომ გამგეობას გაუსინჯავს ხსენებული ადგილები და ჰფიქრობს მისცეს ნება შენობების დასრულებისა, რადგან ის მიწები ქალაქს არ დასჭირდება და, მაშასადამე, შესაძლოა მათი გაყიდვა.

〰 უკვდავისფერი გაიაფდა ჩვენს ქალაქში: ხორაგიც, სადგურებიც, ტანისამოსიც და ეს საზოგადო ცვლილება მოჰყვა საზოგადო უფულობასავე, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს უბრალო ეკონომიური კანონი არა სწამთ ჩვენი აბანოების პატრონებს და მოიჯარადრეებს: ამ საზოგადო იაფობისა და უფულობის დროს, იმათ ფასი 20% აუწევიათ. იმითი მაინც რომ აიხსნებოდეს ეს ცვლილება, ვითომ მეტი სისუფთავე დასტყობოდეთ ჩვენს აბანოებს და მეტი გულმტკივნეულობა მუშტრისათვის, — კიდევ მადლობა ღმერთსა, მაგრამ აბანოების უბანი ისევ ისე საანდაზო უბანია თავის უსუფთაობით, ოთახები ისევ ისე ნაგვით სავსენი, ქვა-ხალიჩები ისევ ისე გაქონილი და ვერც აბანოებში მოსამსახურე პირნი დაივიწყებენ ზდილობიანობას. ამის გარეშე, ჩვენ ეჭვი გვაქვს, — ასეთმა ფასის მომატებამ მეაბანოებს შემოსავალი მიუმატოს და ის უფრო გვჯერა, რომ 20% მომატებამ მუშტარი 2%-ზედ მეტი მოაკლოს, რადგან, სამწუხაროდ, სისუფთავე ჯერ ისეთს აუცილებელს საჭიროებას არ შეადგენს ჩვენის ხალხისათვის, რომ ფასის მომატებამ აბანოებში მოსიარულე ხალხის მოკლებაზედ არ იმოქმედოს.

〰 ზ. გ. ყიფიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან ყოველივე მიწერ-მოწერა დრამატიული საზოგადოებისა და სხვა დოკუმენტები გამოუგზავნა ამ საზოგადოების თავმჯდომარეს, თ. დ. ავალოვს. იმედი გვაქვს ამ საზოგადოების გამგეობა ეხლა მაინც შეუდგება საზოგადო კრების თავდარიგს.

〰 ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქ საბქციზო გამგეობიდამ პატენტის აღების დროს მოვაჭრეებს წვრილი მოხელეები მიასწავლებენ ხოლმე იქვე მეზობლად მყოფ ბორტ-მოქმედებისათვის გამოგდებულ მოხელის კანტორასთან, სადაც ერთი და ორი შაურის მაგივრად, — რაც სრულიად საკმარისია ამ უბრალო განცხადებისათვის — თითო მანათს იღებენო. ამ გვარი ნათლი-მამობა გამოგდებული მოხელეებისა და სამსახურში მყოფთა შორის იქნება ამ უკანასკნელთა გულ-მტკივნეულობას კი მოასწავებდეს, მაგრამ გულ-მტკივნეულობა თავის ხარჯზე უნდა და არა ბედკრულ წვრილ მოვაჭრეების ჯიბეზედ.

〰 საგურამოდამ გვწერენ: «თბილისის მაზრაში, სოფელ მამკოდაში, ტყის დარაჯებს შემოუღიათ გამვლელებზედ ერთი არა-კანონიერი გადასახადი, საქმე აი როგორ არის: ხსენებულ სოფელზედ თითქმის ყოველ დღე ჩამოაქვსთ სოფლელებს ქალაქში გასასყიდად შეშით დატვირთული ურმები; ამ გზაზე საგურამოსა და გლდნის ტყის მცველსა ჰყავს დაყენებული დარაჯები გზაზედ, რომ უბილეთოდ შეშა არავინ გაყიდოს ქალაქშიო. ეს ყარაულები გამვლელებს ბილეთებს უსინჯავენ, და თანაც ურემზე 1—3 ხემდე ართმევენ ხოლმე. მე ჩემის თვალით რამდენჯერმე დავინახე, რომ ყარაულებს შეშით დატვირთული ურმები გაუჩერებიათ და სათითაოდ ურმებიდამ ცოტა-ცოტა ტყის მცველის კარებზედ დაუყრევინებიათ. მე არ ვიცი, ეს გადასახადი ზ. ტყის-მცველის განკარგულებით ჰხდება, თუ ყარაულები თავის ნებით ართმევენ, მხოლოდ მეურმეებს კი უთქვამთ ჩემთვის, რომ ზ. ტყის-მცველი, შეშის გაყიდვაზედ ნება-რთვის ბილეთში აღებული ფულის გარდა, ყოველ გავლაზე ურემზედ ცოტა-ცოტა შეშასაც გვართმევს თავისთვისაო. დღეში, უკანასკნელად, ათი ურემი მაინც გაივლის ხსენებული გზით და ყველა ურემზედ ამოდენა გარდასახადისაგან, გვონებთ, კარგი ლუკმა უნდა შეუდგეს ამდებსაო».

〰 თიანეთში ამას წინად რამდენსამე მაღაზანს უყიდნია მროხები და ზოგი სხვა სასოფლო ნაწარმოები, რომლებშიაც მაღიან დიდი ფული მიუციათ გლეხებისთვის. როცა ნავაჭრი საქონელი გაუტანიათ და წასულან, მაშინ იმათი ფულები სულ ყალბები გამომდგარან. ეხლა თურმე თბილისის პოლიციას მიუგნია ამ ავაზაკი მაღაზნების კვალისთვის («კავკაზი»).

## სამართალი.

ამ დღეებში თბილისის ოლქის სამსჯავროში გაარჩიეს საქმე ოჯახ-ყულის მოკვლის თაობაზე, რომელიც ბრალდებოდა მოკლულის ცოლს ჰევთხარას და მილიციის პრაპორშჩიკს მაჰმედ-ბეგ ედიგაროვს.

აი საქმის გარემოება.

ვორონცოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, ცხოვრობდა მოხუცებული და მდიდარი მექათმე ოჯახ-ყული. 1882 წელს ამან განიძრახა მექქეში წასვლა სალოცავად და 11 აგვისტოს მოიწვია ვახშმად თავის ნაცნობები და სასულიერო პირნი და გამოუცხადა მათ თავის განკარგულება შესახებ თავის დოვლათისა. 4,000 მანათი დაენიშნა მას თავის ქალისთვის, რომელიც პირველი ცოლისაგანა ჰყვანდა და რომელთანაც გამწყრალი იყო, რადგანაც ის მამის უნებურად გათხოვდა ვიღაც ნუხელ მაჰმედ-მირზაზედ. 1,500 მანათი თავის დასამარხავად დაენიშნა, თუ, ვინიცობაა, მოკვდებოდა გზაში; 1,200 მანათი სამგზავროდ გადასდვა და დანარჩენი თავის საცხოვრებელი დაუტოვა თავის ცოლს, ახალ-გაზდა ჰევთხარას. სტუმრებმა ივახშმეს, იმუსაიფეს და ღამის 1 საათზე დაიშალნენ. ოჯახ-ყულიმ ჩაი მოითხოვა; ერთი სტაქანი დალია და, როდესაც მეორე მოართვეს, ამ დროს იმან აიღო ხელში სანთელი და, ჩვეულებისამებრ, ჩავიდა ბაღჩაში იმის დასათვალიერებლად — თუ როგორ არის ყვავილები მორწყული. იმის ცოლი-კი, ზოგი მოწმების სიტყვით, წავიდა დასაძინებლად და ზოგის სიტყვითაც — ისიც სხვებთან ერთად ამ დროს ბალკონზედ იჯდა. ცოტა ხანს შემდეგ გავარდა თოფი და ოჯახ-ყული მკვდარი დაეცა ძირსა. მაშინათვე მოვიდა იქ პოლიცია — პრისტავი და რამდენიმე სხვანი — და გამოჰკითხეს იქ მყოფებს საქმის გარემოება. ოჯახ-ყულის შინაურებმა — იმის ძმის-წულმა მეჰდი-უსუფმა, სიდედრმა საქნამ და სხვებმა, — უამბეს პრისტავს, რომ თოფის ხმა ღობიდგან მოისმა და მაშინათვე მკვლელები გაიქცნენო. ერთის საათის შემდეგ, გამომძიებელიც მოვიდა იქ. იმან გასინჯა ადგილი, სადაც მკვლელობა მოხდა და ნახა, რომ ოჯახ-ყულის გვამი პირქვე ეგდო, ბაღის კარებიდგან ორ ნაბიჯზედ მოშორებით და ღობიდგანაც ამოდენავე სიშორეზედ. თავი ღობისკენა ჰქონდა მიქცეული, ფეხები ეზოსკენ. ტყვია, რომელმაც მოჰკლა ოჯახ-ყული, მეორე დღეს იპოვნეს გვამიდგან $4\frac{1}{2}$ ნაბიჯზე მოშორებით. გასინჯეს ტყვია და გამოიკვლიეს, რომ ის იყო სმიტის და ვესსონის სისტემის რევოლვერისა, რა სისტემის რევოლვერებსაც რუსის ოფიცრები ატარებენ. ოჯახ-ყულის ტყვია გულში მოხვედროდა და ზურგში გასულიყო. დაქვრივებულს ჰევთხარას ეჭირა ხელში ქრმის ქაღალდი, რომლითაც ქმარი მთლად თავის დოვლათს მას უანდერძებდა. ოთხის დღის შემდეგ, ჩამოვიდა თბილისში სიძე ოჯახ-ყულისა, მაჰმედ-მირზა და გულ-მოდგინედ შეუდგა სიმამრის მკვლელების ძებნას. ბოლოს ეჭვი მიიტანეს ქვრივ ჰევთხარაზე და მილიციის პრაპორშჩიკზე მაჰმედ-ბეგ ედიგაროვზედა და ორივე პასუხის-გებაში მისცეს სისხლის სამართლის წესით. იმათ ბრალდებოდათ, ვითომც ვიღაც თათარი ნაჰდაალისთვის მოეკვლევინებინათ ოჯახ-ყული.

შემდეგი საბუთების ძალით დასდვეს მათ ეს ბრალი.

მეზობლებში ხმები იყო გავრცელებული, ვითომც ჰევთხარას და მაჰმედ-ბეგ ედიგაროვს ერთმანეთი ჰყვარებოდეთ და დაახლოვებული კავშირიც ჰქონოდეთ ერთმანეთთან. ამასთანავე, დიდი განსხვავება იყო ოჯახ-ყულის და ჰევთხარას წლოვანობაში: ოჯახ-ყული ხნიერი მოხუცი იყო, ჰევთხარა კი ახალ-გაზდა, ლამაზი და სიცოცხლით სავსე ქალი არის; ამის გამო, გასაკვირველი არ არის, რომ ამ უკანასკნელს შეეყვარებინოს ახალ-გაზდა და მოხდენილი ვაჟკაცი მაჰმ-ბეგ ედიგაროვი და მოემდომებინოს მოხუცებული ქრმის თავიდამ მოშორება, რათა სრულიად და თავისუფლად დამტკბარიყო თავის სატრფოს სიყვარულით. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ჰევთხარას ეხლა ხელთა ჰქონდა ქრმის ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი მისი საცხოვრებელი იმას რჩებოდა, და ამისთვის ცხოვრებაზე ზრუნვა და ფიქრი აღარ დასჭირდებოდა მომავალში. საფიქრებელია, აგრეთვე, რომ მაჰმედ-ბეგსაც ჰქონოდეს სურვილი ოჯახ-ყულის დოვლათის ხელშიჩაგდებისა და ამის გამო იმასაც მოემდომებინოს მისი სიკვდილი. წინასწარი გამოძიების დასკვნით, ამას ერთის მხრით ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ტყვია მაღლიდგან ჰქონდა ნასროლი ოჯახ-ყულის და სხვაგნიდგან არსაიდამ შეიძლებოდა ამ გვარად ტყვიის მოხვედრება, თუ არ ედიგაროვის სახლიდგან, რომელიც იქვე ოჯახ-ყულის ბაღთან იმყოფება და მხოლოდ ერთი დაბალი ღობე ჰყოფს ამ ბაღისაგან; მეორე მხრითაც — ის გარემოება, რომ ტყვია, რომელმაც ოჯახ-ყული იმსხვერპლა, აღმოჩნდა სმიტის და ვესსონის სისტემისა, და სწორედ ამ სისტემის რევოლვერებს ატარებენ ოფიცრები ვოლგის პოლკისა, რომელშიაც მსახურობს მაჰმედ-ბეგ ედიგაროვი. ამას გარდა, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთი ვიღაც თათარი, ნაჰდალი, რომელიც წინად ედიგაროვებს ჰყოლიათ მოსამსახურედ, ოჯახ-ყულის მოკვლის შემდეგ, დადიოდა ქალაქში და იკვეხოდა თურმე, ჰევთხარამ 150 მანათი მომცა და მე მოვკალი ოჯახ-ყულიო. პოლიციამ მოიწადინა იმის დაჭერა, მაგრამ გაიქცა სოფელში მაჰმედ-ბეგ ედიგაროვის ძმასთან, ჰასან-ბეგთან და იქ დაიმალა. თუმცა პოლიციამ იქაც მიაგნო, მაგრამ ვერა გახდარა, რადგანაც ჰასან-ბეგ ედიგაროვმა არ გამოაჩინა იგი.

წინასწარმა გამოძიებამ სწორედ ამ სახით გამოიკვლია საქმე. ოლქის სამსჯავროში კი ზოგიერთმა მოწმებმა შესცვალეს თავიანთ ჩვენება და საქმის გარემოება სხვანაირად დაუხატეს მსაჯულებს. სულ 40-მდენ მოწამე იყო მოწვეული სამსჯავროში. მოწმებმა მაჰმედ-ჰასანმა, ჯევითმა და მაჰმედ-უსეინმა, სხვათ შორის, აჩვენეს, რომ ნაჰდალი ლაპარაკობდა, ვითომც ის გადასულიყოს ოჯახის ბაღში და იქ ზურგში ესროლოს იმისთვის რევოლვერი.

განსვენებული ოჯახ-ყულის ნათესავმა ქალებმა — ზაჰრამ და დურრამ, რომელნიც იმისავე სახლში ცხოვრობდენ, აჩვენეს, რომ მაჰმედ-ბეგი დაიარებოდა ოჯახის სახლში იმის ცოლთან მაშინ, როდესაც ოჯახი შინ არ იყო ხოლმე, და ჩვენთან ეხვევოდა და ჰკოცნიდა ჰევთხარასაო. ამ უკანასკნელს მაჰმედ-ბეგის სურათიცა ჰქონდაო. ერთხელ მაჰმედ-ბეგს ხელსახოცი დარჩა ოჯახ-ყულის სახლში და ჩვენ — მოწმებმა — გარდავეცით ჰევთხარასაო. ეს ხელცახოცი სასამართლოს ბოქაულს ბაქრაძეს უნახავს, როდესაც ოჯახ-ყულის ქონების სიას ადგენდა და სამსჯავროში, სხვა ნივთებთა შორის ეს ხელსახოციც იყო, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. მას აზის ასო «M».

მაჰმედ-უსუფმა, მოკლულის და იმის ცოლის ნათესავმა და დურრას ქმარმა, აჩვენა, რომ ოჯახ-ყულის ცოლმა უთხრა — ბაღში ჩადიო და სანთელიც იმანვე მისცაო. როდესაც

რევოლვერი გავარდა, ოჯახ-ყული ხესთან იდგა და ფოთლებს უსინჯავდა ყვავილებსაო. ვინ და საიდგან გამოისროლეს რევოლვერი—მე არ ვიციო. მოწმები **გულაკოვი და რაზუმოვი** (პოლიციელები) არ მოვიდენ სამსჯავროში და ამისა გამო წაიკითხეს მათი ჩვენებანი, რომლებშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ, როდესაც თოფის-ხმა გავიგონეთ და მივცვივდით ოჯახ-ყულის სახლში, მაშინ მაჰმედ-უსუფმა გვიამბო, რომ თოფი ლობიდგან ესროლესო და მე დავინახე—როგორც ორი მკვლელი გარბოდაო. იმ მოწმებმა, რომელნიც ბრალდებულთა მოსარჩლეთაგან იყვნენ მოწვეულნი, აჩვენეს, რომ ოჯახ-ყულის ძალიან უყვარდა ყვავილები, ისე უყვარდა, როგორც «ბულბულს ვარდიო», და მუდამ, დაძინების წინად, ჩადიოდა ხოლმე ბაღში და სინჯავდა ყვავილებსაო იმ ღამესაც ის ჩვეულებრივ ჩავიდა ბაღში და არც ცოლს და არცარავის სხვას არ მოუგონებია იმისთვის აქ ჩასვლაო. ამასთანავე, ამავე მოწმებმა ისიცა სთქვეს, რომ ოჯახ-ყულის და ჰევთხარას ტკბილი ცოლ-ქრმობა ჰქონდათო; ოჯახ-ყულის ძლიერ უყვარდა ცოლი და ჰევთხარაც დიდს პატივსასცემდა ქმარსაო. არაოდეს და არავისგან არ გაგვიგონია, რომ ჰევთხარას დაახლოვებული კავშირი ჰქონოდეს ან მაჰმედ-ბეგ მდივაროვთან, ან სხვა ვისთანმეო. მოწამემ **ბოგატუროვმა**—თარჯიმანმა გამომძიებლის დრაგნევიჩისა, რომელმაც ეს საქმე გამოიძია—აჩვენა, რომ ერთხელ ორი მოწამეთაგანი (უჩვენა მაჰმედ-ჰუსეინზე) მოვიდენ ჩემთან და მითხრეს—ჩვენ გამოძიებაში ოჯახ-ყულის სიძის, მაჰმედ-მირზას ხათრით ისე არ ვუჩვენეთ საქმე,როგორც ნამდვილად იყო და ხომ არ დაგვსჯიან—სამსჯავროში რომ სიმართლე ვთქვათო? **დანიელ-ბეგოვმა** აჩვენა, რომ მაჰმედ-მირზა მთხოვდა შუა-კაცობა გამეწია ჰევთხარასთან და მომერიგებინა ისინი ერთმანეთში იმ პირობით კი, რომ ჰევთხარას ნახევარი ქრმის ქონება იმისათვის მიეცა. როდესაც დანიელ-ბეგოვმა ჰკითხა თურმე მაჰმედ-მირზას—საქმე სისხლის სამართლის წესით არის დაწყებილი და ამას რაღას მოუხერხებ, რომ მოვარიგოთ კიდეცაო,—მაჰმედ-მირზას ეთქვა, რომ მოწმები ჩემ ხელთ არიან და რასაც მე ვეტყვი, ისინიც იმას აჩვენებენო.

ამას გარდა, ზოგიერთმა მოწმებმა აჩვენეს, რომ ოჯახ-ყული ჩაქუჩული იჯდა ბაღჩაში და ისე სინჯავდა ყვავილებსა, როდესაც რევოლვერი გავარდაო.

დიდი მნიშვნელობა და თითქმის გადამწყვეტი ძალა ჰქონდა ექსპერტიზას და იმ პროტოკოლების წაკითხვას, რომელშიაც აწერილია ის ადგილი, სადაც ეს შემთხვევა მოხდა. ამ პროტოკოლებიდგან სჩანს, რომ ოთხი მხრიდამ შეიძლებოდა ესროლათ რევოლვერი ოჯახ-ყულისათვის: ერთი მდივაროვის სახლის ფანჯრიდგან; ექსპერტების აზრით, ძლიერ სანაქებო მსროლელი უნდა იყოს, რომ აქედამ, მერე ისიც ღამე, რევოლვერი მოარტყას კაცს. მეორე—ლობიდგან, რომელიც ორ ადგილას ისე იყო გამონგრეული, რომ რევოლვერის გამოყოფაც ადვილად შეიძლებოდა და სროლაც ორივე ადგილიდგან. მეოთხეც—ლობის გარედამ. ეს უკანასკნელი სამი ადგილი ისე მდებიარებენ იმ ადგილთან, სადაც მკვდარი ოჯახ-ყული დაცემულა, რომ იქიდამ შეიძლება პირ-და-პირ და უთუოდ მოარტყას მსროლელმა ტყვია. ერთის სიტყვით, ამ პროტოკოლებიდგან ნათლად სჩანს, რომ რევოლვერი მდივაროვის სახლიდგან არ იყო ნასროლი; მდივაროვის სახლიდგან მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მოხვედროდა ტყვია, თუ ოჯახ-ყული ფეხზე იდგა და არა იჯდა, როგორც ზოგიერთა მოწმებმა აჩვენეს. ექსპერტებმა ტყვიის გასინჯვის შემდეგ, სთქვეს—ნამდვილად არ შეიძლება ითქვას ისიც, რომ ეს ტყვია სმიტის და ვესსენის რევოლვერის სისტემისა იყოსო.

შემდეგ პროკურორის ამხანაგის სტალინსკის, მოდავის მოსარჩლის ბაბროვსკის და ბრალდებულთა მოსარჩლების—სტეფანოვის და ჩემისოვის ბაასისა, სამსჯავრომ გაამართლა ორივე ბრალდებულნი—მეჰმედ-ბეგ მდივაროვი და ოჯახ-კულის ქვრივი ჰევთხარა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

9 მარტს.

**პეტერბურგი.** განონდებათა კრებაში გამოცხადებულია სახელმწიფო რჩევის აზრი: 1) ურთიერთობითის ნდობის საზოგადოებათა წევრების საზოგადო კრებათა მაგიერ, საზოგადოებათავე შუამდგომლობის გამო, იქნებიან, ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, წარმომადგენელთა კრებანი. წარმომადგენელთა კრებებში უნდა იყოს არა ნაკლებ 36 პირისა; ამათ ირჩევენ საზოგადოებათა ყოველნი წევრნი უბრალო ხმის უმეტესობით. ვრცელი განმარტება ფინანსთ მინისტრის ინსტრუქციებში იქნება. და 2) ფინანსთ მინისტრს უფლება აქვს მინიჭებული წესდებებში ცვლილება მოახდინოს იმის-და-გვარად, როგორც მოითხოვს საზოგადოებათა საზოგადო კრებების მაგივრად წარმომადგენელთა კრებების დაარსება.

დღეს დაიწყო მოქმედება პეტერბურგის და მოსკოვის კომერციულმა ბანკმა.

**ასტრახანი.** ქალაქს გაღმა, 10 ვერსზე მოშორებით, ვოლგა გაიწმინდა ყინულისაგან; ზღვის ნავოსნობის დაწყებას მომავალს კვირაში მოელიან.

**სამარა.** გუბერნიის ერობის საგანგებო ყრილობამ მიიღო პროექტი შესახებ საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაწესებისა.

**ყაზანი.** გუბერნიის ერობის საგანგებო ყრილობამ, რომელიც 7 მარტს მოხდა, გადასწყვიტა იშუამდგომლოს წინაშე მმართებლობისა, რათა ნება დაერთოს ხელის-მოწერის გამართვისა ყაზანის გუბერნიის დამშეული მცხოვრებლების სასარგებლოდ.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა გარდასცა კომისიას კანონ-პროექტი სოციალისტების შესახებ კანონის მოქმედების განგრძობაზე. ბისმარკმა ბაასის დროს, როდესაც პასუხს აძლევდა პროექტის მოწინააღმდეგეს, პოლიაკს იაგბზევსკის, სთქვა, რომ პოლშის მაზრებში სოციალურ-დემოკრატიის აღმოფხვრა შეუძლებელია, ვიდრემდის იქ სხვა-და-სხვა პარტიობა არსებობსო.

ელჩმა ორლოვმა ჩააბარა იმპერატორს თავის გრამოტები.

## განცხადებანი

სამკურნალოს, დაწესებულს გარედამ მავალი ავად-მყოფებისთვის თბილისის მოქალაქეთაგან, 4-ის აპრილის 1866 წლის სახსოვრად, აქვს პატივი აუწყოს თბილისის მცხოვრებლებს, რომ ახლად გახსნილს მისს განყოფილებებში ხარფუხში—აბანოებთან, ხალათოვის სახლში, ავად-მყოფები მიიღებიან 9 საათიდგან 11 საათამდინ, ხოლო ავლაბარში, კახეთის მოედანზე, იმ სახლში, რომელიც ფორაქოვს ეკუთვნოდა, 11 საათიდგად 1 საათამდინ.

სამკურნალოს დირექ. ღისიცევი. (3—2)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

აქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, [ფ]ურშელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უკეთესი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე [illegible] მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—92)

სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის რჩევაში 28 ამა მარტისას, საღამოს რვა საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე შემდეგთთა სემინარიის კუთვნილ მამულთა: ა) სახლისა და დუქნებისა, რომელნიც ავეთიკა ფიროევისაგან არიან შემოწირულნი და იმყოფებიან რუსების ბაზარში №№ 6 და 11, და ბ) დუქანი, რომელიც აშენებულია სასწავლებლის მოედანზე, ვანქის სომხის სობოროსთან. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა და სატაბელო დღეებისა, 10 საათიდგან 12 საათამდინ. (3—2)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმელები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჯები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—77)

## ქალაქის გამგეობა

იწვევს, ვისაც სურს საქალაქო სახლის კედლების შეღებვა აიღოს. მობძანდეს გამგეობაში ფასზე მოსალაპარაკებლად 13 მარტს დილის 12 საათიდგან. (3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Марта 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.